

ALEKSANDRE MACHABELI ABOUT THE LIAKHVI GORGE

ალექსანდრე მაჩაბელი ლიახვის ხეობის შესახებ

Aleksandre Mgebrishvili

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. In the study of Georgian oral tradition, the initial stage of collecting this material, which includes the 19th century, its cultural and historical significance, and the role of those individuals who laid the foundation for the scholarly documentation of folklore texts, is of utmost importance. The first collectors not only wrote down the texts, but also created the basis for national self-awareness, language standardization, and the preservation of cultural memory.

Georgian oral tradition existed for centuries through oral transmission. Its written documentation began actively in the 19th century, when, against the background of the national enlightenment movement, interest in folk culture also emerged.

The activities of the first collectors were not only literary; they were part of the process of preserving national culture and self-identification.

Georgia in the 19th century was part of the Russian Empire. Accordingly, during this period, the tendency to study national history and language, the desire to collect ethnographic and folklore material, and to systematize the Georgian cultural heritage became especially active. Recording oral tradition was regarded as a means of preserving the national spiritual treasure.

The first collectors mainly used field notes, direct recording of oral narration, and edited publication of texts. Despite the fact that the methodology was not fully developed at the early stage, their work became the basis for subsequent structural and functional studies.

Among these figures, Aleksandre Machabeli occupies a prominent place. It is with his name that the first attempts to collect and publish folklore materials in the Liakhvi Gorge are associated. As a result of his active work, a number of important oral traditions of the 19th century were documented in the Liakhvi Gorge, published in the periodical press of the time, and made available to future generations.

In addition, Aleksandre Machabeli published highly valuable information about the villages of the Liakhvi Gorge, their location, their condition at that time, and other important details. These lines have acquired even greater significance in today's historical context.

Key words: Liakhvi Gorge, Aleksandre Machabeli, Kurta, Kekhvi, Achabeti, Tamarasheni Dgvrisi, Tskhinvali, Samachablo, First Democratic Republic.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. ქართული ზეპირსიტყვიერების კვლევისას უაღრესად მნიშვნელოვანია ამ მასალის შემგროვებლობის საწყისი ეტაპი, რომელშიც XIX საუკუნე მოიაზრება, მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და იმ პიროვნებათა როლი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ფოლკლორულ ტექსტთა მეცნიერულ ფიქსაციას. პირველი შემგროვებლები არა მხოლოდ ტექსტებს იწერდნენ, არამედ ქმნიდნენ ეროვნული თვითშეგნების, ენობრივი სტანდარტიზაციისა და კულტურული მეხსიერების დაცვის საფუძველსაც.

ქართული ზეპირსიტყვიერება საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ზეპირი გადაცემის გზით. მისი წერილობითი ფიქსაცია აქტიურად იწყება XIX საუკუნეში, როდესაც ეროვნულ-განმანათლებლური მოძრაობის ფონზე გაჩნდა ინტერესიც ხალხური კულტურის მიმართ.

პირველი შემგროვებლების საქმიანობა არ იყო მხოლოდ ლიტერატურული, იგი წარმოადგენდა ეროვნული კულტურის გადარჩენისა და თვითიდენტიფიკაციის პროცესის ნაწილს.

XIX საუკუნის საქართველო იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. შესაბამისად, ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტიურდება ეროვნული ისტორიისა და ენის შესწავლის ტენდენცია, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის შეგროვების დაქართული კულტურული მემკვიდრეობის სისტემატიზაციის სურვილი. ზეპირსიტყვიერების ჩაწერა განიხილებოდა როგორც ეროვნული სულიერი საგანძურის დაცვა.

პირველი შემგროვებლები ძირითადად იყენებდნენ სავლელე ჩანაწერებს, ზეპირი თხრობის პირდაპირ ჩაწერას, ტექსტის რედაქტირებულ გამოქვეყნებას. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ეტაპზე მეთოდოლოგია სრულყოფილი არ იყო, მათი საქმიანობა საფუძვლად დაედო შემდგომ სტრუქტურულ და ფუნქციურ კვლევებს.

ამ ადამიანებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ალექსანდრე მაჩაბელს. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ლიახვის ხეობაში ფოლკლორული ნიმუშების შეგროვებისა და გამოქვეყნების პირველი მცდელობები. მისი აქტიური მოღვაწეობის შედეგად მე-19 საუკუნის არაერთი მნიშვნელოვანი ზეპირსიტყვიერების ნიმუში გამოვლინდა ლიახვის ხეობაში, დაიბეჭდა იმდროინდელ პერიოდულ პრესაში და ხელმისაწვდომი გახდა მომავალი თაობებისთვის.

გარდა ამისა, ალექსანდრე მაჩაბელს უაღრესად საინტერესო ცნობები აქვს გამოქვეყნებული ლიახვის ხეობის სოფლების, მათი მდებარეობის, იმჟამინდელი ყოფის და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ. ამ სტრიქონებმა დღევანდელ ისტორიულ კონტექსტში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა.

საკვანძო სიტყვები: ლიახვის ხეობა, ალექსანდრე მაჩაბელი, ქურთა, კეხვი, აჩაბეთი, თამარაშენი დგვრისი, ცხინვალი, სამაჩაბლო, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა.

შესავალი. ნაშრომი ეხება XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურას — ალექსანდრე მაჩაბელს. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ

საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი, როდესაც ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, გამოირჩეოდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებითა და საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის მძაფრი სურვილით. ნაშრომში დეტალურადაა განიხილული ალექსანდრე მაჩაბლის ღვაწლი ლიახვის ხეობის ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების დოკუმენტირების საქმეში, რაც დღევანდელ ისტორიულ რეალობაში, ოკუპირებული ტერიტორიების კონტექსტში, კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს.

XIX საუკუნის საქართველოში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება არ იყო მხოლოდ აკადემიური ინტერესი; ეს გახლდათ ეროვნულ-განმანათლებლური მოძრაობის განუყოფელი ნაწილი. პირველი შემგროვებლები, მათ შორის ალექსანდრე მაჩაბელი, აცნობიერებდნენ, რომ ზეპირი გზით გადაცემული ტექსტები ეროვნული სულიერი საგანძურია, რომელსაც წერილობითი ფიქსაციის გარეშე დაკარგვა ემუქრებოდა. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ეს პროცესი საფუძვლად დაედო ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას, ენობრივ სტანდარტიზაციასა და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას. მიუხედავად იმისა, რომ იმჟამინდელი საველე მუშაობის მეთოდოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო, პირველი მკვლევრების მიერ გაწეული შრომა მყარ საძირკვლად იქცა თანამედროვე ფოლკლორისტიკისთვის.

ალექსანდრე მაჩაბლის მოღვაწეობის არეალი ძირითადად ლიახვის ხეობას, კერძოდ კი სამაჩაბლოს რეგიონს მოიცავდა. იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მეცნიერულად მიუდგა ამ კუთხის ფოლკლორული ნიმუშების მოძიებასა და მათ გამოქვეყნებას ისეთ მნიშვნელოვან პლატფორმაზე, როგორც იყო „აკაკის თვიური კრებული“. მისი წერილები, მაგალითად „სოფელი ქურთა და იმის მიდამოები“, წარმოადგენს არა მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტს, არამედ უნიკალურ ეთნოგრაფიულ წყაროს, სადაც დეტალურადაა აღწერილი სოფლის მდებარეობა, მეურნეობა, ყოველდღიური ყოფა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა.

განსაკუთრებით საგულისხმოა სტატიის ის ნაწილი, რომელიც ეხება მაჩაბლის პუბლიცისტურ საქმიანობას საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წწ.). მაჩაბელი დახასიათებულია როგორც თავდადებულ პატრიოტი, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას და ჩართული იყო რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის ოსთა შეიარაღებული გამოსვლების გაშუქებაში. მისი ტექსტებიდან ნათლად ჩანს მაშინდელი რთული გეოპოლიტიკური ვითარება და ავტორის მტკიცე პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

დასკვნით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მაჩაბლის ტრაგიკულ ბედზე 1937 წლის საბჭოთა რეპრესიების დროს, რაც, სავარაუდოდ, სწორედ მისი დამოუკიდებელი ხედვებისა და ეროვნული იდეებისადმი ერთგულების შედეგი იყო. მაჩაბლის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა დღეს ეროვნული არქივის ნაწილია და მისი სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულება დროთა განმავლობაში მხოლოდ იზრდება, რადგან იგი გვინახავს იმ სოფლებისა და ტრადიციების ხსოვნას, რომლებიც დღეს ფიზიკურად განადგურებულია.

კვლევის მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა. ლიახვის ხეობაში ფოლკლორული მასალის მოძიებით, ჩაწერითა და გამოქვეყნებით დაინტერესებულ პირთა შორის უპირველესთაგანი

ალექსანდრე მაჩაბელი (მღებრიშვილი, 2021: 77) გახლავთ. იგი გახლდათ უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი მოღვაწე. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეხმაურებოდა თავისი დროის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს. ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება-გამოქვეყნებისას უპირველესად იყენებს „აკაკის თვიურ კრებულს“¹, რომელიც უმნიშვნელოვანეს პლატფორმას წარმოადგენდა აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

სწორედ „აკაკის თვიურ კრებულში“ გამოქვეყნდა მისი საინტერესო ტექსტი „სოფელი ქურთა და იმის მიდამოები“, რომელშიც აღწერს მშობლიური სოფლის სანახებს, მის მდებარეობას, მცხოვრებთ, სოფლის მეურნეობის სამუშაოებს, ყოველდღიურ ყოფას, საცხოვრებელ პირობებს და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის ფედერაციის 2008 წლის სამხედრო აგრესიის შედეგად სოფელი ოკუპირებულ და მიწის პირისაგან აღგვილ იქნა, ვფიქრობთ, ეს ტექსტი დღეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ამიტომ მას სრულად ვუზიარებთ მკითხველს.

„სოფელი ქურთა და იმის მიდამოები“. ს. ქურთა არის გორის მაზრაში დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირს, შვიდი ვერსის მანძილზე დაბა ცხინვალიდან. სამხრეთით საზღვრავს მას და მის მამულებს მუშლის ხევი, რომელიც ზემო აჩაბეთს ჩამოუდის გვერდზე; აღმოსავლეთით დიდი ლიახვი, ჩრდილოეთით ს. კეხვის მიჯნა და დასავლკეთით თირის მონასტრის მიჯნა. ქურთა თავის სახნავ-სათესით იქნება დაახლოვებით ხუთი კვადრატის (ჩორსო) ვერსი, თითქმის თანასწორის სიგრძისა და სიგანის. ქურთა სძევს დაცემულ ვაკე ადგილას, ლიახვიდან გამოყვანილ რუს ორივე ნაპირას. სცხოვრობს 49 კომლი გლეხი და 7 კომლი თავადი მაჩაბელი. რუს სისწვრივ მისდევს სამხედრო ოსეთის გზა. მდებარეობასა ჰყოფს ნარუალი ყაიბულა ორ ნაწილად, მის აღმოსავლეთით ვაკე დაცემულ ადგილსა, დასავლეთით კი ორ ტერრასიან ფერდობს. უმეტესი სახნავ-სათესი ადგილი ქურთელებისა ამ ფერდობებზეა. ეს ფერდობი იღრანტება სამ ალაგას ხევებითა. ყველაზე უდიდესი ხევი ბრმა ხევაა, რომელსაც სათავე უძევს მარის კლდესთან. ეს სახნავი, (უმეტეს ნაწილს ღუდათი ჰქვია) ახალი გატეხილი მამულია; თხუთმეტი წლის წინად სახერხი ხეები იჭრებოდა, ახლა კი აქა-იქ შეხვდებით მარტო ჯირკვებს, ასე მოისპო იქ ტყეები. მეტად ნაყოფიერი შავი მიწაა; თითქმის ნახევარ არშინის სისქეთ აძევს შავი მიწა. ვაკე ადგილი კი ლამისგან შესდგება და ნაკლები სისუქნე აქვს, მშვიერი ლამია. ეს ადგილი წარმოადგენს უწინდელ ლიახვის ძირსა, მაგრამ ლიახვი აღმოსავლეთისკენ მისწოლია და ეს ადგილი დაუტოვებია.

ჰავა, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ზღვის მდებარეობასთან მეტად მაღლა სძევს და უმთავრესი კავკასიონის მთა - გრეხილი მუდმივი თოვლით თავს დაჰყურებს, მეტად ზომიერია. აქ ზამთარში სიცივე არ იცის; 15° სიცივე დიდი იშვიათია. ზაფხული გრილია, აქაური დიდი სიცივე ერთი თვეა: მკათათვის ნახევრიდან მარიამობის თვის თხუთმეტამდე. სუფთა და გრილი ჰაერი ხელს უწყობს საღიანობას. ახლო-მახლოს არსად დამპალი ჭაობები და წყლები არ მოიპოვებიან. მარტო ერთ ალაგს ორი დღის ადგილია სველი და გვალაზი. დიდი ქარები იშვიათი მოვლენაა, მხოლოდ გამაცოცხლებელი დილის ნიავი ზეკარა, რომელიც კავკასიონის მთებიდან უბერავს და ზაფხულის ქვენაქარი

¹ ალექსანდრე მაჩაბლის მიერ „აკაკის თვიურ კრებულში“ გამოქვეყნებული ფოლკლორული ნიმუშები ჩვენ ცალკე გამოვაქვეყნეთ 2022 წელს. მათ დეტალურად გასაცნობად იხ. (მივიწყებული შემოქმედება, 2022: 43).

² „აკაკის თვიურ კრებულში“ გამოქვეყნებულ ამ ტექსტს სათაურთან გაკეთებული აქვს შენიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ „კრებულის“ რედაქცია უგულითადეს მაღლობას უძღვნის ბ. ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელს „სოფელი ქურთა და იმის მიდამოების“ აწერისა და აქვე შეკრებილ ზეპირ-გადმოცემების მოწოდებისთვის. სწორეთ ისე შეუდგენია, როგორც ჩვენი პროგრამმა საზოგადოდ მოითხოვს. რედ.“

ამომრავებს აქაურ ჰაერს და ბუნებას; მაგრამ ესენიც მუდმივ არ უბერავენ, ბევრჯერ კვირის-კვირობამდე გასანიავებელი ხვაი ჰყრია კალოზე უქარობით. დასავლეთის მხრიდგან მოჰქრის „იმერულა“, რომელსაც სინოტიე და ავდარი მოაქვს აქა. ეს ქარი ასე ხშირად არა ჰქროდა, სანამ ტყეები გაიჩეხებოდა. ეხლა კი ხშირად ჰქრის გაზაფხულზე და ნამეტნავად შემოდგომით. აღმოსავლეთის მხრიდგან, რაკი მთა აფარია, მყუდროა.

სოფელში ერთი ქვითვირის ეკკლესია წმ. გიორგის სახელზე აგებული და ერთიც ხის, დაქცეული მთავარ-ანგელოზის ეკკლესია. აქვეა ოთხ-კუთხიანი ხუთსართულიანი მაღალი კოშკი, ჯერ ისევ მთელია და ურთხლის კოჭები აქვს გაყრილი. მცხოვრებლების უმეტესობა ნაოსრები არიან, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც მოსულან, მესამე თაობანი არიან: კაჟაშვილები, ჯიოშვილები, ცხოვრებაშვილები, თითირაშვილი, ელბაქიძე, ყოჩიშვილები და სხვა. არიან რაჭიდგან გადმოსახლებულებიც: ხაჭაპურიძეები და მათურაძეები, ჯოხაძე. მხოლოდ ადრინდელ დროიდგანვე ბასიშვილები არიან მკვიდრი მცხოვრებნი; ესენი და მარბლები ერთ დროს არიან მოსულნი. ერთმანეთთან განწყობით ცხოვრობენ. მახვილი გონების ხალხია. მისდევენ ხვნა-თესვას, მებაღობას, მევენახეობას და მებოსტნეობას-თითქმის სულ თავიანთ საჭიროების გულისთვის. თუმცა რთვილი ბევრჯერ ისრიმს მოასწრებს ხოლმე და ვენახს დაუმწიფებელს სტოვებს, მაინც ბეჯითად მისდევენ მევენახეობას. ეხლა ძალიან ამრავლებენ ვენახებს. უვენახო არავინ არის. ხილის ბაღებში მთელი სოფელი ჩამალულია, მაგრამ ის ძველები დაბერდნენ და ახალი ხილის გაშენებას უფრო ბეჯითად ეკიდება ხალხი. ასე მსწრაფლ არსად არ იზრდება ხილი; არავითარი გაპატიება არ უდნა ხილისათვის გამზადებულ ადგილს. იმისთანა დიდი ვაშლისა და კაკლის ხეები იზრდება, რომ თითო ძირზე ურემი, ურემ ნახევარი ნაყოფი ჩამოდის. მაინც აქაური უმთავრესი ნაწარმოები ხილია. უმეტესობა აქაური ხილისა რუსეთში მიდის. ხილის ვაჭრობა მეტი წილი პატრონების ხელშია, სხვისგანაც ყიდულობენ და ჰყიდიან. აქაური ადგილობრივი ვაშლი განთქმულია: აბილაური, თურაშაული, კიტრა, თეთრი სირმა და სხვა, დიდხანს ინახება. შავი მსხალიც საზამთროა; საზაფხულო ხილი: გულაბი, საენკენიო, სასელო ქლიავი, ჭანჭური და სხვა მრავალია. თუთის ხეებიც ბევრი იყო, მაგრამ რაკი ჭიის მოყვანას თავი გაანებეს, ისიც თან-და-თან მოისპო. საქონელი უსამოვრობის გამო, მცირეა. ამიტომ ცოტა ხანში ფუტკრის მოშენებას მიჰყვეს ხელი. კაცები დიდი გამრჯელები არიან, ქალები მინდორში არა მუშაობენ, გარდა უპატრონოებისა. მათი საქმე სახლშია, მაგრამ არც აქ ვარგან, უსუფთაოდ აქვსთ შენახული სახლ-კარი. ტანისამოსის დაკერება არ იციან; რაკი ერთს ჩაიცმენ, ეგ არის, სულ ფარატინებათ ჩამოცვივათ. კაცები იცმენ სხვილი შალის ჩოხებს, ერედვული და ოსური შალისას, მეტი წილი თეთრსა. ახალუხი, განიერი შარვალი, ჩითის პერანგი წინდა-პაიჭი-ქალამანი შეადგენს მათ ჩაცმა-დახურვას.

სახლები მუხისა აქვსთ; შესდგება დარბაზიდგან, თავის გვირგვინით და დერეფან-ბოსლიდგან და მარნიდგან. პურს გოდრებში და ბელლებში ინახვენ.

დაღონებული ხალხია. დიდიც და პატარაც თავის გაჭირვებას გრძნობს და ნაღვლობს; მოხუცებულები უფრო მხიარულები არიან, თუნდ დიდ ჭირ-გამოვლილებიც იყვნენ. მარტო ყველიერში იციან ბავშვებმა თამაში. სხვა დროს არა სცალიანთ, საზოგადოთ თითქო ეთაკილებათ თამაშობა. მათ გასართობ თამაშს შეადგენს წყვილ-პანტოპია, ჩალიჩი და ზედადგრობა, ძვირათ ბურთის და რიკის თამაში.

ქორწილი სამ დღეს იციან, ძალიანც თვრებიან; არ იღლებიან ამ სამ დღეს არც სმითა და არც სიმღერით; სიკვდილზე დიდი ხარჯი იციან, უვალოდ არავინ გადარჩება. კვირა-უქმეს წმინდათ ვერ ინახავენ, მხოლოდ პარასკეობით გუთანს არ შეაბმენ, მიწას არ სძვრენ, ქარ-სეტყვის უქმეაო. დიდ დღსასწაულებს გულ-გრილად ეგებებიან. ეკკლესიაში სიარული არ უყვარსთ, მხოლოდ საკვირამლოებს რომ მიიტანენ საყდარში, მაშინ დასალოცათ დაპატიჟებენ ერთმანეთს. ქურდობა სძულთ.

შესანიშნავია უწინდელი ნარეული ყაიბულა, რომელიც უხსოვარ დროში ყოფილა ამ რუს შემწეობით გაყვანილი წყალი დიდი ღიახვიდგან, კეხვის თავში. რუს დასრულებამდის დღესაც შვენივრად ეტყობა რუს კალაპოტი. იგი გაივლიდა ს. კეხვს, ქურთას და აჩაბეთს სერ-სერ, მერმე კი თამარაშენ-დგვრისის მინდორს, გადაუხვევდა ტბეთისკენ. და აქედგან ირწყოდა წუნარის მიდამო, (ნაწისქვილარი ეხლაც ეტყობა, აქედან ფრონეში ჩადიოდა) ჩაჰყავდათ ყვავის საყდარასთან, (ნასოფლარია) და სალთვისის, ტახტიძირისა და დირბის მინდორი ირწყოდა. ეხლა კი ეს უშველებელი ალაგი ურწყავია! ეხლანდელ რუს, რომელიც ქურთას ჩამოდის, ათი ნაბიჯით ქვეით აქვს სათავე ყაიბულადგან. ღიახვმა დაბლა დაიწია; უწინ ამ ყაიბულზე იყო გაშენებული სოფლები, რომლებიც მწკრივად მისდევდნენ მის პირებს და მალეობ ადგილებზე იდგნენ, ეხლაც კარგად ეტყობა ნასახლარები, ნაოხარი ქვევრები და სხვა. მაშინდელი ბალები ჯერაც არიან, მაგალითად: ბასიშვილები მდგარან ბალებში; ისინი აყრილან შემდეგი უბედურის შემთხვევისა გამო: შობა დღე იყო, შვიდი ძმა ბასიშვილი თავიანთ ცოლშვილით გულიანათ შეექცეოდნენ სამხარს, ვახშამიც ზედ მოაბეს, რასაკვირველია ღვინოც ბევრი დალიეს, სთქვეს, ამაღამ მაინც რიგიანად მოვისვენოთო, მგონი არავინ გატყვერეს ამ სიცივეშიო. მაგრამ, როცა მაგრად დაიძინეს, უცბად დაესხნენ ლეკები, შვიდ ძმას ყელეები დასჭრეს, და ცოლ-შვილი ტყვედ წაასხეს. ერთი კვამლი და დარჩენილიყო, აიყარა და ძირს ჩამოვიდა. უწინ მათი მეზობლები იყვნენ: (ეხლა აღარა სცხოვრობენ იქა) ხაბარლები, ნეკაშვილები, გაგნიძეები, კერესელიძე, ყანაძე და სხვები, ესენი მწკრივად იყვნენ დასახლებულნი ყაიბულზე. ეხლანდელი მცხოვრებნი თითქმის სამ-ოთხ წელიწადში არიან ერთად დასახლებული. ხაჭაპურიძე გადმოვარდნილა რაჭიდან შემდეგი შემთხვევისა გამო: ბატონი მისულა ღვინის წამოსაღებად, უჩვენებიათ ერთი ქვევრი, არ მოსწონებია, მეორე-არც ისა, მესამე-არც ისა; მერე აუხდიათ ოც კოკიანი ქვევრი, და, რომ ჩაუხედნია შიგ მათ ბატონს, აუწვევიათ, თავდაყირა ჩაუგდიათ შიგა, დაუხურავთ ზევიდგან, და გამოქცეულან და ყანაძის მამულზე დასახლებულან. ორნი ძმანი ყოფილან, ეხლა მესამე თაობა იცვლება და ექვსი კომლია.

საზოგად ცხინვალის ხეობაში ნახევარზე მეტი ახალი მოსული ხალხია: ან ნაოსრები არიან, ან რაჭველები. ამიტომ ძველი ამბავი ნაკლებად იციან. მეფეებზე არც კი რამე ისმის, მხოლოდ „აი უწინ რომ ნეფობა ყოფილაო“ - ასე ამბობენ ხოლმე. ღიახვის მარცხენა ნაპირს მცხოვრებნი უფრო დიდი ხნის მოსახლეები არიან. აქ ისევ იმ ძველ ხასიათ-ჩვეულებიანს ხალხს ნახავთ.

ქურთაში შემდეგი სახელები ჰქვიათ მიწებს: ღუდათი, ნახევარი ქურთის მამულია, დასავლეთის მხრივ. იფნიანი, ნასისხლი მიწა, გოგილას მიწა, გალავანი. ციხე-გალვანი ყოფილა, ნანგრევები მოსჩანს; სათიხე, ლეკიჯვარი, აქ მალეობ ადგილს ორი მუხა დგას, ამაზე დიდი ხის ჯვარი აყუდია, რომელიც მიუყუდებია მაისურაძე ლეკსა, ლეკების ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ.

ქურთის გარშემო შესანიშნავი ადგილები: თირის მონასტერი, აგებულია, როგორც ამბობენ, თამარ მეფის დროს. გრძელია, საბძლურად დახურული საგანგებო ლომფინით, მთლად თლილი ქვისა, მრავლის წარწერებით და მშვენიერის ჩუქურთმებით; მთელია, წინ უდგია გუმბათიანი, ორ-მგიდე სამრეკლო. კლდეში საბეროებია. სოფელი თირი შესანიშნავია მრავლის ხილითა და საუცხოო მდებარეობით, სახაზინოა. საცხოვრებენ მარტო ზოზიაშვილები.

აბო წმინდა, სამხრეთ-დასავლეთის მხრივ ქურთიდან, ნასოფლარია, წმინდა აბოს დაქცეული საყდარია; სცხოვრობდნენ მელაძეები (ეხლა ძლევიჯვარში დგანან) ხაბარლები, და სხვანი. ზემო აჩაბეთი, შესანიშნავია ძველი ციხე-გალავნით; მის გარშემო მიწებში მრავალ ისრების პირებს ჰპოულობდნენ ხოლმე. ს. კეხვი, სულ ქართველები დგანან, ახალი ჩამოსული არავინ არის; სახაზინოა, შესანიშნავია ხეხილითა და ძველი ციხე-სიმაგრეებით, აქ არის კეხვის ციხე, შიგ კეხვის ყელში აშენებული მთაზე; ხალხის სიტყვით აუშენებია

გორგა მეფეს (ალბათ ვახტანგ-გორგასლანს), დაუყენებია თოფჩად ბლიაძე და ერთი კახნიაშვილი. (რაკი კახნიაშვილი და ბლიაძე თოფჩად დააყენეს, უთხრეს, თუ გინდათ ბატონისგან გაგანთავისუფლებთო, მაგრამ არ ინდომეს, ბატონი გვირჩევნიაო). ამ ციხეს კარგა ღრმახევი, კეხურა ჩამოუდის; ამ ხეობაში შესანიშნავია სახიზნი ადგილები. აგებულია ტყეში დედა-ღვთის ეკლესია; მის გარშემო ნასოფლარია, დიდი ქვითკირის გალავნის ნანგრევები მოსჩანს; მის პირდაპირ გაღმა ნანგრევია, საბეროს ეძახიან. ამ ტყეში სახნავ მიწების სამზღვარ სირონები ეტყობა. უწინ მთელი კეხვისა და თირის მთა სამოვარი ყოფილა, ჩრდილი მხოლოდ ერთ ალაგას იყო; სადაც პატარძლის რცხილას ეძახიან, იქ სწველიდნენ საქონელს პატარძლებით. ეხლა ის რცხილა აღარ არის, მის ბაღლად სხვა ამოსულა. კეხვის ციხის ჩრდილოეთ მხარეს არის პატარა ეკლესია, დედა-ღვთისის ნიში; იქ მუხაზე მრავლი საქონლის რკალებია ჩამოკიდული. მცხოვრებთ რწმუნება აქვსთ, ძროხას ან მაწოვარ ქალს რომ რძე გაუშრება, უნდა რკალი შეიბას, ილოცოს იქა, და რძე მოუვაო. ლოცვის შემდეგ რკალები იქა რჩება.

ციხის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს კიდევ ერთი ნანგრევი ეკლესიაა. მისი დღეობა აღდგომას მოდის; მშვენიერ მაღალ ადგილას არის აშენებული, აყრილ ტყეში, და ძირს ღრმად კეხურა მიშხუის. საუცხოო წყალ-ვარდნილია კეხურაზე. საყდარს უკან სახელოვანი თავის გემრიელი წყლით „ასმათას წყაროა“, უფრო ხევი. შიგ კეხვშია ეკლესია და კოშკი; კოშკს ძირი აქვს გამოთხრილი, ამბობენ ღიახვს უდენია ძირში და გამოუთხრიანო. შესანიშნავია იქვე თავის სიდიადით კეხვის კაკალი. შუა ალაგას ღერო თორმეტი არშინის სისხოა ირგვლივ, ძირს და ზევით მომეტებული. ორი უზარმაზარი ტოტი ამაყად ჰაერშია გატყორცნილი; ერთი, (მესამე) მოტეხილი. (აქნობამდის ამ კაკალზე ბალი ხარობდა, ჰკრეფდნენ ხოლმე, მერე კი მოსჭრეს: ხეზე ხე არ ვარგაო). დიდი ციხეა ამ ხეობაშივე, ქემერტისა, კდევ არის ქურთის გასწვრივ გალავანი ღიახვის პირზე. მტერი, რომ შემოვიდოდა ცხინვალის მხრიდან საყვირს (ბუკს) დააყვირებდნენ, ან გრძელი თოფი ყოფილა ციხის, იმას გაისროდნენ; მიაწვდიდა ხმას ზემო აჩაბეთსა, მერე იქ გაისროდნენ თოფსა, იქიდან გაღმა ღიახვის პირს გაიგონებდნენ; მერე იქ, იქიდგან კეხვის ციხიდგან გაისროდნენ და მერე ქემერტიდგან - ეს ნიშანი იყო მტრის შემოსევისა, მთელი ხეობა დახიზნავდა ხიზანს და საომრად შეიკრიბებოდა ერთად.

ქვეწარმავალი, მფრინველი, ოთხფეხი ცხოველი, მცენარე და სხვა თავისებური არა იცის რა, რაც სხვა კუთხეში მოიპოება, აქაც ის არის ირმისა და მშვლის გარდა. ამ ოცდა ათის წლის წინად კი ესეც ყოფილა.“ (მაჩაბელი, 1899: 1)

ალექსანდრე მაჩაბელს თავისი მშობლიური კუთხე სხვა დროსაც და სხვა გამოცემების ფურცლებიდანაც წარუდგენია მკითხველის წინაშე. 1917 წლის მაისის, გაზეთ „საქართველოს“, სამ ნომერში იგი დიდი სიყვარულით საუბრობს საკუთარი სამკვიდროს, სამაჩაბლოს შესახებ. წერილში „მამული სამაჩაბლო“ ავტორი საინტერესოდ მსჯელობს სამაჩაბლოს გეოპოლიტიკური მდებარეობისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

„ამ სახელით ცნობილია ეხლანდელ გამიჯვნის დროს ის ქვეყანა, რომელიც მდებარეობს დიდი ღიახვის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე და მის შემდინარეთა ხევეებზე და ხეობებზე დაბა ცხინვალს ჩრდილოეთის მხარეზე, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთის კალთები, რომელსაც ვახუშტის გეოგრაფიაში დვალეთი ეწოდება (ახლა მხოლოდ ღიახვის სათავეში მდებარე მხარეს მაღლა დოვლეთი ჰქვია, ეს მაღლა დოვლეთი არ ეკუთვნის მაჩაბლებს, ეს საერისთავოა და სამაჩაბლო კი დაბლა-დოვლეთი იქნებოდა).

სამაჩაბლო ზომით 72,000 დესეტინას შეიცავს. აღმოსავლეთით საზღვრავს შენდგის სოფლების მამულები: ქორდი, ერედვი, ვანათი, გერის ხეობა, ჩიფრანი, ზღუბირი. პირველი სოფელი გედევანიშვილებს და გლეხებს ეკუთვნის, ერედვი და დვანი ფავლენიშვილებს, სხვა დანარჩენი ერისთავებს. ჩრდილოეთით უძევს კავკასიონის ქედი, რომელიც ჰყოფს

კავკავის ოლქს და გორის მაზრას, თავის უზარმაზარ საყინულეებით და საუკუნო თოვლით და ალპურ სამოვარ-სათიბებით. დასავლეთით საზღვრავს რაჭისა, საჩხერისა და შორაპის მაზრები, ანუ ის სერები, რაც საიმერეთოსკენ წყალს გადაღვრიან, საფალავანდიშვილო და სახერხეულიძო მამულები, ყორნისი და მდინარე დირბის ფრონის შემდინარე ხევები და სამხრეთით ზემო -ნიქოზის და ცხინვალის და მეღვრეკისის მიჯნები. სამაჩაბლო წარმოადგენს ექვსს უმთავრეს ხეობას: დიდი ლიახვისას, ფაწისას, ქეშელთისას, ჯომალისას, როკისას და მარისას და დოდოთის მხარეს და წონანერნო.

სამაჩაბლო მამული უდიდესი მთა ადგილია გორის მაზრაში. ხაზინას ეკუთვნის მხოლოდ სამი ათასი დესეტინა, 69,000 დესეტინა კი მაჩაბლებს ეკუთვნოდათ. სამაჩაბლო მამული, როგორც სამხრეთის მხარე ბარი, ისე ჩრდილოეთი მხარე მთა, მეტად ნაყოფიერი და მდიდარი ბუნებია. სახნავ-სათესი ადგილები, როგორც სარწყავი ისე ურწყავი, უხვ მოსავალს იძლევა, როგორც პურს, ქერს, ისე სიმინდსა, ფეტვსა და სხვას. მთები საუკეთესო ნაძვნარი და წიფლნარი ტყით არის შემოსილი. თავდება ტყე და მის ზემოდ მშვენიერი სათიბები არის და მის ზემოდ სამოვარი ადგილები და მის ზემოდ კიდენ ტიტველა თოვლიან-ყინულიანი მთები იძლევა საუცხოვო წყაროებს, რითაც შესდგება დიდი ლიახვი. მინერალური წყლები მრავალია, რომელთაც დიდი სამკურნალო თვისება აქვთ...“ (მაჩაბელი, 1917: 4)

საგულისხმოა, რომ ალექსანდრე მაჩაბელი აქტიურად ეხმებოდა 1918-1921 წლებში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. ის, როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, აღფრთოვანებულია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტით. ეს არც არასოდეს დაუმალავს. ჯერ კიდევ 1920 წლის იანვარში ის, გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ცნობაში მიუთითებდა, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას უმაღლესი საბჭოსაგან ცხინვალის საზოგადოება ზეიმით შეხვდა.“ (მაჩაბელი, 1920: 3)

ეს აქტიურობა გრძელდებოდა შემდგომშიც. როგორც მკითხველს მოეხსენება, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ოსთა შეიარაღებული გამოსვლების³ გასანეიტრალებლად საქართველოს მთავრობის მიერ პროპორციული ძალის გამოყენების შემდგომ ცხინვალში საგანგებო ვითარება გამოცხადდა, რეგიონის ცხოვრება საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამ საყოველთაო ინტერესის დასაკმაყოფილებლად და მკითხველისთვის ადგილზე არსებული რეალური სურათის შესათავაზებლად, სხვათა გვერდით, ალ. მაჩაბელიც აქტიურად ერთვება მოვლენათა გაშუქების მნიშვნელოვან საქმიანობაში. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ერთ მცირე ამონარიდს მისივე სტატიიდან, რომელიც აღნიშნული შეიარაღებული გამოსვლების შემდგომ მთავრობის რწმუნებულის და დამფუძნებელი კრების წევრის - ვიქტორ ჟღენტის ცხინვალში სტუმრობის დეტალებს სთავაზობს საზოგადოებას: „22 დეკემბერს, ცხინვალში მთავრობის რწმუნებულის და დამფუძნებელი კრების წევრის ვიქტორ ჟღენტის მიერ, რომელსაც აქვს მთავრობისაგან დავალებული აყრილ და ოსებისგან განთავისუფლებულ ძველ ქართულ ნასოფლარების დასახლების და მოწყობის საქმე, მოწვეული ჰყავდა ახლად დასახლებულთა რწმუნებულები ანუ არჩეული კაცები. საათის თორმეტზე, ცხინვალში, აღნიშნულ ალაგს უკვე თავი მოეყარათ მოწვეულთ. გარდა ამათი, კიდევ იყვნენ მოპატიჟებულნი ვ. ჟღენტის მიერ რამდენიმე აქაური საზოგადო მოღვაწენი, გვარდიისა და ჯარის შტაბის წევრნი, ტყის გამგე, და ცხინვალის წვრილი ერთეულის გამგეობა, სულ ორმოც კაცამდე. ბატონმა ჟღენტმა განუმარტა მიზეზი დღევანდელი ყრილობის, რომელსაც ჰქონდა ხასიათი გადმოსახლებულთა წარმომადგენლების ერთმანეთთან გაცნობისა, აგრეთვე მათი გაცნობა პირადათ მოწვეული სტუმრებისა. „22 დეკემბერი ეს დღესასწაულია და საზეიმო დღეა ახლად გადმოსახლებულ ხალხისა“-ო სთქვა ბ-მა

³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალებისთვის იხ. (მღებრიშვილი, 2019).

ქდენტმა, რომელმაც მოკლე სიტყვით მიულოცა გადმოსახლებულთ, ამ მათთვის ახალ ქვეყანაში დასახლებისა. მოსალოც სიტყვაში მოკლეთ განუმარტა ისტორია იმ დასახლებისა და ჩააგონა ხალხს, რომ ეს ქვეყანა, ეს ზემო ქართლი, არ არის მთა ოსეთი, ანუ სამხრეთი ოსეთი, რომელი, თითქოს, სწამს მთავრობის წრეებში, თითქოს ეს ოსებისგან დაცლილი ქვეყანა, ოსეთი ანუ მთა ოსეთი იყოს, ეს იყო საქართველო, ზემო ქართლი და აქ არავითარი ოსეთი არა ყოფილაო. ორატორის მარტივ და მშვენიერი გასაგების ენის ყოველივე თქმულისა მსმენელნი ტაშის კვრით და მადლობით შეხვდნენ და განუმტკიცათ გონებაში, რომ ეს გადმოსახლებულნი უცხო ქვეყანაში კი არ გადმოსახლებულან, არამედ შუაგულ საქართველოს, კავკასიონის ბუმბერაზ მთების კალთებში, რომელთაც უნდა ზურგი მიჰყუდონ ამ მთას და მტერი არ შემოუშვან ჩრდილოეთით. რომელი მტერიც, ეს მუხანათურად გამოსული შინაური მტერი, ჯერ ქურდულად და შემდგომ აშკარად ოთხჯერ მოღალატურად გამოვიდნენ საქართველოს დასლუპათ.“ (მაჩაბელი, 1921: 4)

ამგვარ აქტიურ მოღვაწეობას ალ. მაჩაბელი ეწევა დამოუკიდებელი რესპუბლიკის უკანასკნელ დღეებამდე. ზემოთ მოხმობილი ტექსტი 1921 წლის 11 იანვარს არის გამოქვეყნებული. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა უკანასკნელ დღეებს ითვლის. სულ მალე ქვეყანას წითელი ქარბორბალა დაატყდება თავს და რამდენიმე ათეული წლით მიყუჩდება ფიქრიც და ოცნებაც დამოუკიდებელ, ძლიერ და ბედნიერ საქართველოზე. ალექსანდრე მაჩაბელი, როგორც თავისი სამშობლოს და კუთხის ჭეშმარიტი მამულიშვილი ბოლომდე ერთგული რჩება საკუთარი ქვეყნისა და იდეისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესახებ. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დამოკიდებულებებმა ითამაშა განმსაზღვრელი როლი მისი ბედის ტრაგიკული გადაწყვეტისას 1937 წლის საბჭოთა ავჟამიანობისას.

დასკვნა. ამრიგად, ალექსანდრე მაჩაბელი უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი მშობლიური კუთხის, ლიახვის ხეობის შესახებ. ეს ცნობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის აღნიშნული ნაწილი ოკუპირებულია და მიწის პირისაგან ალგვილი. ამგვარ ცნობათა შენახვა მომავალი თაობებისათვის უკიდურესად საჭირო და აუცილებელი გახლავთ.

ამგვარი მოღვაწეობის გვერდით, ა. მაჩაბელს უდიდესი წვლილი მიუძღვის ლიახვის ხეობაში ფოლკლორულ მასალათა მოძიებასა და „კაკის თვითური კრებულის“ ფურცლებზე გამოქვეყნებაში. სწორედ ის გახლავთ პირველთაგანი ჩვენი მხარის ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შემგროვებელთა შორის. სხვათა გვერდით, მის მიერ გაწეული შრომის მნიშვნელობის შესახებ ვარლამ მაცაბერიძე წერდა: „რევოლუციამდელ ქართულ ფოლკლორისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს ცალკეულ მხარეთა ფოლკლორული ჩანაწერების გამოქვეყნებასა და შესწავლას. ამ მხრივ აღსანიშნავია ზ. ბილანიშვილის (გარე კახეთი), დ. ხიზანაშვილის (ფშავი), ნ. ურბნელის (ხევსურეთი), ივ. ბუქურაულის (თუშეთი), ა. მაჩაბლის (ლიახვის ხეობა, ს. ქურთა), ს. გაჩეჩილაძის (იმერეთი), ვინმე მესხის, მესხი კონსტანტინე გვარამიძის (სამცხე-ჯავახეთი) და სხვათა მიერ ფიქსირებული და გამოქვეყნებული მასალები.“ (მაცაბერიძე, 1986: გვ. 85)

საზოგადოდ, ქართული ზეპირსიტყვიერების პირველმა შემგროვებლებმა დავიწყებას გამოსტაცეს უამრავი ხალხური ტექსტი, შექმნეს ე.წ. ეროვნული არქივი, ჩამოაყალიბეს ფოლკლორისტიკა როგორც სამეცნიერო დისციპლინა და ყოველივე ამით ხელს უწყობდნენ ეროვნული იდენტობის გაძლიერებას. მათი საქმიანობის გარეშე ბევრი ლეგენდა, ლექსი და თქმულება შეიძლება დაკარგულიყო.

ქართული ზეპირსიტყვიერების პირველი შემგროვებლები იყვნენ არა მხოლოდ ტექსტების დამფიქსირებლები, არამედ კულტურული მემკვიდრეობის დამცველები და ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში მონაწილე ინტელექტუალები.

მათი ღვაწლი წარმოადგენს ქართული ფოლკლორისტიკის საფუძველს და დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას როგორც სამეცნიერო, ისე კულტურულ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მაჩაბელი, ალ. (1899). სოფელი ქურთა და იმის მიდამოები. *აკაკის თვიური კრებული*. #1. განყ. II.
- მაჩაბელი, ალ. (1917). მამული სამაჩაბლო, წერილი ცხინვალიდან. *საქართველო*. #94.
- მაჩაბელი, ალ. (1920). ცხინვალიდან. *საქართველო*. #10.
- მაჩაბელი, ალ. (1921). დაბა ცხინვალი. *საქართველო*. #6.
- მაცაბერიძე, ვ. (1986). „წერეთელმა დაიბარა...“. *ქართული ფოლკლორი*. XVI. თბილისი.
- მივიწყებული შემოქმედება*. (2022). ცხინვალის რეგიონი XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში. ქრესტომათია. II გორი.
- მღებრიშვილი, ა. (2019). *ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921)*. თბილისი.
- მღებრიშვილი, ალ. (2021). *მივიწყებული შემოქმედება*. თბილისი.

REFERENCES:

- machabeli, al. (1899). *sopeli kurta da imis midamoebi* [The Village of Kurta and its Surroundings]. *ak'ak'is tviuri k'rebuli* [Akaki's Monthly Collection]. #1. Section II.
- machabeli, al. (1917). *mamuli samachablo, ts'erili tskhinvalidan* [The Estate of Samachablo, a Letter from Tskhinvali]. *sakartvelo* [Sakartvelo]. #94.
- machabeli, al. (1920). *tskhinvalidan* [From Tskhinvali]. *sakartvelo* [Sakartvelo]. #10.
- machabeli, al. (1921). *daba tskhinvali* [The Village of Tskhinvali]. *sakartvelo* [Sakartvelo]. #6.
- matsaberidze, v. (1986). „ts'eretelma daibara...“ [“Tsereteli Bequested...“]. *kartuli polk'lori* [Georgian Folklore]. XVI. Tbilisi.
- mivits'qebuli shemokmedeba* [Forgotten Art]. (2022). *tskhinvalis regioni XIX sauk'unesa da XX sauk'unis p'irvel atts'leulebshi. krest'omatia* [Tskhinvali Region in the 19th Century and the First Decades of the 20th Century. Chrestomathy]. II Gori.
- mghebrishvili, a. (2019). *tskhinvali sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is p'eriodshi (1918-1921)* [Tskhinvali During the Period of the Democratic Republic of Georgia (1918-1921)]. Tbilisi.
- mghebrishvili, al. (2021). *mivits'qebuli shemokmedeba* [Forgotten Art]. Tbilisi.